კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი

რეგიონული პროგრამა- სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგი
ჯანან ატილგან

2012. აპრილი

www.kas.de/kaukasus
www.kas.de

საპარლამენტო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში

25-28 აპრილს საქართველოში, კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის, „ევროპის დროთ“ და საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის ძალისხმევით, ჩატარდა ღონისძიება სათაურით: „საპარლამენტო თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში“. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს სამუშაო გამოცდილებები, რომელიც მიმართული იყო კომიტეტებს შორის სამომავლო, უფრო ინტენსიური თანამშრომლობისაკენ.

ვორკშოპის ფარგლებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის პარლამენტების წამომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ინფორმაციები გაეცვალათ ევროპასთან ინტეგრაციის საკითხების აქტუალურ პროცესებზე. ეს იყო ამ კომიტეტების პირველი შეხვედრა, რომელმაც ხელი შეუწყო ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას და ასევე, მათ დაახლოებას.

ვორკშოპში მონაწილეობას ღებულობდა 12 მონაწილე, გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის ევროპასტან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი დავით დარჩიაშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ბატონი ფილიპ დიმიტროვი, ევროინტეგრაციის სამინისტროს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის სამსახურის უფროსი. მოხსნებები წაიკითხეს ეკონომიკის ექსპერტმა კახა გოგოლაშვილმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის წარმომადგენლებმა და სხვა ექსპერტებმა.

ღონისძიებისას განიხილეს შემდეგი თემები: აღმოსალეთის პარტნიორობის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ევროპასთან ინტეგრაცია, აღმოსავლეთის პარტნიორობა, როგორც წინაპირობა სამხრეთ კავკასიაში პარტნიორობისათვის და სამი ქვეყნის პარლამენტების როლი ამ პროცესებში, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (DCFTA) და სამომავლო პერსპექტივა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისათვის. სემინარის მონაწილეებმა მოხსენებები წაიკითხეს აღმოსავლეთის პარტნიორობის აქტუალურ თემებზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებზე თავიანთ ქვეყნებში, და ასევე, პარლამენტის როლზე ამ პროცესებში.

ვორკშოპის ბოლოს მონაწილეებმა შეადგინეს დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სამომავლო საპარლამენტო თანამშრომლობას სამ ქვეყანას შორის.

Konrad Adenauer Stiftung